



ადმოსავლეთის ჰარტნიორობის
სამოქალაქო საზოგადოების ფორუმის
საქართველოს ეროვნული პლატფორმა

საკოორდინაციო საბჭოს შეხვედრის ოქმი

თარიღი: 28 იანვარი, 2012 წელი

დრო: 14.00 – 17.00 საათი

შეხვედრის ადგილი: ფონდი ღია საზოგადოება - საქართველო

საკოორდინაციო საბჭოს შეხვედრას ესწრებოდნენ:

1. ქეთევან ციხელაშვილი
2. ნინო ლომჯარია
3. დავით ნარმანია
4. პაატა ბელთაძე
5. ლია თოდუა
6. თემურ ვეკუა
7. ლალი დევიძე
8. მარინე სოლომონიშვილი

განსახილველი საკითხები:

- ეროვნული პლატფორმის სამდივნოს ფორმირება
- პლატფორმის წევრთა მონაცემების განახლება
- საკოორდინაციო საბჭოს სამოქმედო გეგმა
- სამუშაო ჯგუფების სამოქმედო გეგმა
- კომუნიკაციის საშუალებები და რეგულარობა (მათ შორის ვებ-გვერდი)
- კოორდინაცია, უკუგება და პიარი
- სხვა საკითხები

საკოორდინაციო საბჭოს პირველი შეხვედრა საკოორდინაციო საბჭოს თავმჯდომარემ გახსნა და კოორდინატორებს წარუდგინა მათთვის წინასწარ გაგზავნილი დღის წესრიგის მონახაზი - საკითხთა ჩამონათვალი უფრო დეტალური განმარტებით.

დღის წესრიგის გაცნობის შემდეგ კოორდინატორებმა წამოაყენეს ინიციატივა, რომ განსახილველი თემებისათვის „სხვა საკითხები“ს პუნქტში დაემატებინათ ორი ქვეპუნქტი: 1.

სხდომების გამჭვირვალობა და ტრანსლაცია; 2. წინა წლის შეცდომების ანალიზი და მათი თავიდან აცილების გზები; შეხვედრის მონაწილეებმა მხარი დაუჭირეს ამ საკითხების განხილვას, თუმცა მეორე საკითხის განსახილველად ყოფილ კოორდინატორებთან დამატებითი შეხვედრების აუცილებლობაზეც ისაუბრეს. დამსწრეთა სრული შემადგენლობის თანხმობით დღის წესრიგი დამტკიცდა.

სამდივნო

დღის წესრიგის პირველ საკითხად საბჭომ სამდივნოს თემა განიხილა, რამდენადაც პლატფორმას მოცემული მომენტისათვის ფაქტობრივად არ ჰყავს სამდივნო. პლატფორმის სამდივნოს ფუნქციას დღემდე საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის (საია) წარმომადგენელი ნინო ჩიხლაძე ახორციელებდა. საიამ ამ ფუნქციის შესრულება პროექტის ვადის ამოწურვის გამო 27 იანვარს შეწყვიტა. შესაბამისად, საკოორდინაციო საბჭომ ახალი სამდივნოს ჩამოყალიბების და ამრიგად, პლატფორმის მუშაობის გამართვის საკითხი მიიჩნია საკუთარი სამოქმედო გეგმის ერთერთ უახლოეს პრიორიტეტად. აღინიშნა, რომ ახალი საკოორდინაციო საბჭოსა და მთლიანად პლატფორმის გამართული მუშაობისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს სამდივნოს ფუნქციების სწორად განსაზღვრასა და მის ეფექტურ განხორციელებას. დაისახა გარკვეული გეგმები ამ პრობლემის გადასაჭრელად გარდამავალ/მოკლევადიან პერსპექტივაში, რაც კვლავ საიას, როგორც წინა პროექტში გრანტის მიმღების ადმინისტრირებით წინა წელს განხორციელებული პროექტში მორჩენილ მცირე ფინანსური სახსრების გამოყენებით უნდა განხორციელდეს. თუმცა, მდივნის ფუნქციას სხვა ადამიანი განახორციელებს, რამდენადაც საიამ და ყოფილმა მდივანმა წინასწარი კონსულტაციის დროს განაცხადა, რომ მას არ შეუძლია გააგრძელოს სამდივნოს ფუნქციის შესრულება მოკლე ვადითაც კი.

საბჭომ განიხილა სამდივნოს საჭიროებები უფრო გრძელვადიან პერსპექტივაშიც, რაც ალტერნატიული სახსრების მოძიებასა და შესაბამისად, უფრო ხანგრძლივ და შრომატევად პროცესთან არის დაკავშირებული. საკოორდინაციო საბჭო შეთანხმდა, რომ შესაბამისი საპროექტო განაცხადით მიმართავს ყველა სავარაუდო დონორს, მათ შორის ევროპულ ფონდებსა და ევროკავშირის წევრი ქვეყნების საელჩოებს.

წინა გამოცდილებისა და პლატფორმის მუშაობის ეფექტურობის ამაღლების ამოცანიდან გამომდინარე, საბჭომ განიხილა და საჭიროდ მიიჩნია მდივნის პოზიციაზე სრული დატვირთვით მინიმუმ ერთი ადამიანის მუშაობა. გამოითქვა მოსაზრება, რომ საჭიროების შემთხვევაში სამდივნომ უნდა შეითავსოს ასევე ვებ-გვერდის ადმინისტრირების საკითხიც, რაც სხვა ადმინისტრაციულ და საორგანიზაციო საკითხებთან შეთავსებისას, დამატებით კიდევ ერთ საშტატო ერთეულს მოითხოვს, სრულ ან ნახევარ განაკვეთზე. საბჭო ვებ-გვერდის საკითხის კოორდინირებას მოახდენს ადამიანის უფლებათა ცენტრთან, რომელმაც 2011 წელს შექმნა საქართველოს ეროვნული პლატფორმის გვერდი www.eapnationalforum.ge. საბჭო ვებ-გვერდის შესამღებლობების მაქსიმალური ათვისებისა და დამატებითი ინტერაქტიული ფუნქციების გააქტიურებით აპირებს ამ რესურსის აქტიურად გამოყენებას პლატფორმის შიდა და გარე კომუნიკაციისათვის, ისევე როგორც აღმოსავლეთ

პარტნიორობასა და პლატფორმის საქმიანობის შესახებ ინფორმაციის ფართოდ გავრცელებისათვის.

საქართველოს ეროვნული პლატფორმის, სამუშაო ჯგუფებისა და საკოორდინაციო საბჭოს მიერ ეროვნული პლატფორმის საერთო კრების მიერ 2012 წლის 21 იანვარს დამკვიცებული წესდებით გათვალისწინებული ფუნქციების ეფექტურად განხორციელებისათვის, საბჭომ განიხილა და ლოგიკურად მიიჩნია სამდივნოს ფუნქციების დაყოფა ტექნიკურ (მაგ. ვებ-გვერდის ადმინისტრირება, შეხვედრების და სამუშაო ჯგუფების შეკრებების ორგანიზება, ა.შ.) და შინაარსობრივ (მაგ. პლატფორმის მიმართვების, საქმიანობის ანგარიშების, სხვადასხვა დოკუმენტების სამუშაო ვერსიების მომზადება, ა.შ.) კომპონენტებად. შესასრულებელი სამუშაოს მოცულობიდან და სირთულიდან გამომდინარე, საბჭო შეთანხმდა, რომ მიზანშეწონილი იქნება ორი ადამიანის დატვირთვა სამდივნოში, აქედან ტექნიკურ სამუშაოებზე შეიძლება გამოიყოს ნახევარი განაკვეთი, ხოლო შინაარსობრივზე - სრული.

განხილვისა და მსჯელობის შემდეგ საბჭოს წევრები შეჯერდნენ იმ საკვალიფიკაციო მოთხოვნათა სიაზე, რომელსაც უნდა აკმაყოფილებდეს სამდივნოში სრულ განაკვეთზე დასაქმებული კანდიდატი:

1. ენების (ქართული და ინგლისური) ძალიან კარგად ფლობა. სასურველია რუსული ენის ცოდნაც;
2. გარკვეული კომპეტენცია ევროკავშირის საკითხებში;
3. კომუნიკაციის კარგი უნარი;
4. პროექტების ადმინისტრირების უნარი/სასურველია გამოცდილებაც.

საკოორდინაციო საბჭო უახლოესი შეხვედრისას განიხილავს კონკრეტულ კანდიდატურებს. საკოორდინაციო საბჭომ ასევე ერთობლივად განიხილა სამდივნოს ფუნქციონირების ფინანსური მხარეც და შეთანხმდა ერთგვარ ორიენტირებზე, რაც მაქსიმალურად ოპტიმალური რესურსებითა და მარტივი სტრუქტურით სასურველი შედეგის მიღწევის შესაძლებლობას შექმნის. სამდივნოს საკითხის განხილვას საბჭო მომდევნო შეხვედრისას განაახლებს. ამ ეტაპზე გადაწყდა მიემართოს თხოვნით ფონდ ღია საზოგადოება საქართველოს (წინა პროექტის დონორი) და საიას (წინა პროექტის გრანტის ადმინისტრატორი), დარჩენილი მცირე რესურსების ფარგლებში მომდევნო ორი თვის განმავლობაში უზრუნველყოფილი იქნას პლატფორმის სამდივნოს ელემენტალური ფუნქციების განხორციელება.

პლატფორმის წევრი ორგანიზაციები და სამუშაო ჯგუფები

საბჭოს შეხვედრაზე მეორე საკითხად განიხილეს პლატფორმის წევრი ორგანიზაციების მონაცემების განახლება და შევსება. ამჟამად, საქართველოს ეროვნულ პლატფორმაში გაწევრიანებულია 98 ორგანიზაცია (პლატფორმის ყოფილი სამდივნოს მონაცემებით), თუმცა აღმოჩნდა, რომ სიაში არის ისეთი ორგანიზაციებიც, რომლებიც არცერთ სამუშაო ჯგუფს არ მიეკუთვნება და პირიქით, სამუშაო ჯგუფებში რეგისტრირებულია რამდენიმე ორგანიზაცია,

რომელიც არ ირიცხება საერთო სიაში. ამ გამოწვევასთან ერთად, საბჭომ განიხილა სხვა მიზეზებიც, რის საფუძველზეც ერთხმად მხარი დაუჭირა პლატფორმის წევრი ორგანიზაციებისა და სამუშაო ჯგუფების შემადგენლობის დაზუსტების ინიციატივას. საბჭოს მოტივაცია უკავშირდება ერთერთ უახლეს პრეცედენტს, რისი თავიდან აცილებაც მომავალში საერთო კრების წინ წევრი ორგანიზაციებისა და მათი წარმომადგენლების შესახებ მონაცემების განახლებით იქნება შესაძლებელი. კერძოდ, ეს შემთხვევა უკავშირდება 2012 წლის 21 იანვარს ეროვნული პლატფორმის საერთო კრებაზე მეოთხე სამუშაო ჯგუფის კოორდინატორის კანდიდატურად თავდაპირველ კენჭისყრაზე თეონა ლავერაშვილის წამოყენებას, რამაც კრებაზე გამოიწვია გაუგებრობა ორგანიზაციის წარმომადგენლის უფლებამოსილების და ასევე, მის მიერ წარმოდგენილი ორგანიზაციის ავტორიზაციის ნამდვილობასთან დაკავშირებით. ეს თავის მხრივ უკავშირდება იმას, რომ წევრმა ორგანიზაციამ და ამ ორგანიზაციის ყოფილმა წარმომადგენელმა არ და/ან ვერ მოახდინა ინფორმაციის დროული მიწოდება/განახლება ეროვნული პლატფორმის საბჭოსათვის, თუმცა ასევე ამ პრეცედენტმა გამოკვეთა იმ მარტივი მექანიზმის არსებობის აუცილებლობაც, რომელიც პლატფორმის წევრებს საშუალებას მისცემდა განახლონ თავიანთი მონაცემები, მათ შორის ავტორიზებული წარმომადგენლების შესახებ. გარდა ამისა, საბჭომ გაითვალისწინა ისიც, რომ პლატფორმაში გაწევრიანების პროცედურები განსხვავებული იყო სხვადასხვა ეტაპზე. მაგალითად, თავდაპირველად მოხდა ყველა მსურველის გაწევრიანება პროცედურების გარეშე. მომდევნო ეტაპზე გაწევრიანების პროცედურებს დაემატა წევრობის მსურველი ორგანიზაციების მიერ წევრობის შესახებ განაცხადებისა და სამოტივაციო წერილების წარმოდგენის აუცილებლობა. ყოფილი საკოორდინაციო საბჭოს ინფომაციით, იყო შემთხვევები, როცა არასრულყოფილი განაცხადების შემოტანის შემთხვევაში, პლატფორმის წევრობაზე უარი ეთქვა რამდენიმე ორგანიზაციას. მომავალში პლატფორმის წევრობის მსურველთა განაცხადების განხილვისას საბჭო ცალსახად იხელმძღვანელებს ახალი წესდებით მკაფიოდ განსაზღვრული კრიტერიუმებითა და მოთხოვნებით. თუმცა, ზემოთქმულიდან გამომდინარე, წევრი ორგანიზაციების შესახებ არსებული ინფორმაცია ეკლექტური და არაერთგვაროვანია.

არსებული პრეცედენტებისა და ხარვეზების განხილვის შემდეგ, საბჭოს წევრები მივიდნენ იმ დასკვნამდე, რომ შემდგომი გართულებების თავიდან ასაცილებლად, მათ შორის საინფორმაციო ბაზის მოწესრიგებისა და ვებ-გვერდზე განთავსების მიზნით, აუცილებელია მოხდეს პლატფორმის წევრი ორგანიზაციების მონაცემთა განახლება/შევისება. შესაბამისად, საკოორდინაციო საბჭო შეთანხმდა მარტივი მექანიზმის შემუშავების აუცილებლობაზე, რაც პლატფორმას საშუალებას მისცემს: 1) აუცილებელი პერიოდულობით (საერთო კრების წინ) მონაცემების მარტივი ფორმით განახლების, 2) სამუშაო ჯგუფების შემადგენლობების დადგენის და შესაბამისად, ჯგუფების ეფექტური მუშაობის უზრუნველყოფის, 3) პლატფორმის საქმიანობის სრულყოფილად და გამჭვირვალედ წარმართვის, მათ შორის წევრი ორგანიზაციების შესახებ მოკლე ინფორმაციის განთავსებით ეროვნული პლატფორმის ვებ-გვერდზე.

შესაბამისად, საკოორდინაციო საბჭომ შეიმუშავა მარტივი (ერთგვერდიანი) ფორმა, რომელიც პლატფორმის ყველა წევრ ორგანიზაციას დაეგზავნება, რათა მოხდეს ამ ეტაპზე პლატფორმის გამართული მუშაობისათვის აუცილებელი მონაცემების დაზუსტება.

მსჯელობის საფუძველზე, სხდომის წევრებმა შეიმუშავეს მოკლე ფორმა, რომელიც მოიცავს შემდეგ მონაცემებს პლატფორმის წევრი ორგანიზაციებისათვის:

1. თანხმობა ან უარი პლატფორმის წევრობაზე;
2. ამონაწერი საჯარო რეესტრიდან ან რეგისტრაციის მოწმობა რეგისტრაციის თარიღითა და სარეგისტრაციო ნომრით;
3. იურიდიული სტატუსი;
4. ორგანიზაციის ავტორიზებული წარმომადგენელი:
 - 4.1. საერთო კრებაზე
 - 4.2. სამუშაო ჯგუფ(ებ)ში.
5. მოკლე ინფორმაცია ორგანიზაციის მიზნებისა და ამოცანების შესახებ;
6. პლატფორმაში წევრობის მოტივი/მიზანი;

ამ მონაცემების მოწოდებისას, პლატფორმის წევრმა ორგანიზაციამ უნდა იხელმძღვანელოს პლატფორმის წესდებით დადგენილი სამუშაო წესებით. (გთხოვთ, ყურადღებით გადახედოთ წესდების მე-6 პუნტის 6.1. ქვეპუნტს (ა, ბ, გ).

უფლებამოსილ წარმომადგენელს საერთო კრებაზე, პლატფორმის საერთო ელექტრონულ კომუნიკაციასა და (სხვადასხვა) წარმომადგენელს სამუშაო ჯგუფ(ებ)ში ასახელებს ორგანიზაციის ხელმძღვანელი (ავტორიზებული წარმომადგენელი). შესაბამისად, საბჭომ განმარტა, რომ ახალი წესდების შესაბამისად წევრმა ორგანიზაციებმა სხვადასხვა სამუშაო ჯგუფში მუშაობის სურვილის შემთხვევაში, უნდა დაასახელონ სხვადასხვა წარმომადგენელი, ამასთან შესაძლებელია საერთო კრებაზე უფლებამოსილი წარმომადგენელი იყოს ერთერთ სამუშაო ჯგუფში უფლებამოსილი წარმომადგენელიც. სამუშაო ჯგუფების კოორდინატორებმა დაადასტურეს, რომ მონაცემების ამგვარი განახლება არის აუცილებელი წინაპირობა, იმისათვის რომ კონკრეტულ სამუშაო ჯგუფებში ეფექტურად წარმართონ მუშაობა.

წარმოდგენილი კანდიდატი უფლებამოსილი იქნება მანამდე, ვიდრე ორგანიზაცია თავად არ აცნობებს საბჭოს წარმომადგენლის უფლებამოსილების შეწყვეტის შესახებ. გარდა ამისა, საბჭო საერთო კრების წინ მოითხოვს მონაცემების დადასტურებას/განახლებას წევრი ორგანიზაციების მხრიდან. თუმცა, რამდენადაც ეს მოთხოვნა გავრცელდება განსაზღვრული პერიოდულობით (დაახლოებით წელიწადში ერთხელ, საერთო კრების წინ), სასურველია წევრმა ორგანიზაციებმა საკოორდინაციო საბჭოს ყველა კონკრეტულ შემთხვევაში საკუთარი ინიციატივით წერილობით და უფლებამოსილი წარმომადგენლის დადასტურებით აცნობონ ცვლილებების შესახებ, მათ შორის მიაწოდონ განახლებული საკონტაქტო ინფორმაცია (ტელეფონი, ელ-ფოსტა);

საკოორდინაციო საბჭოს სამოქმედო გეგმა

შეხვედრაზე შემდეგ საკითხად მოკლედ განიხილეს საკოორდინაციო საბჭოს სამოქმედო გეგმა. წესდების შესაბამისად საბჭო ვალდებულია შეიკრიბოს ორ თვეში ერთხელ, თუმცა წევრები შემთავსდნენ, რომ დასაწყისისათვის სასურველი იქნება შეხვედრების უფრო ხშირად ორგანიზება (თვეში ერთხელ, ან საჭიროების შემთხვევაში, უფრო ხანმოკლე პერიოდში) და კონკრეტული საკითხების განხილვა, მათ შორს შემოსული აპლიკაციების გაანალიზება და მათზე რეაგირება. საკოორდინაციო საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს აცნობა, რომ ყოფილი სამდივნოს ინფომაციით ამ ეტაპისათვის შემოსულია სამი განაცხადი, რომლის განხილვაც ვერ მოხერხდა წინა საკოორდინაციო საბჭოს მიერ. გარდა ამისა, საკოორდინაციო საბჭომ პრიორიტეტულად მიიჩნია ინფომაციის ხელმისაწვდომობის გაზრდა როგორც პლატფორმის საქმიანობის, ისე პლატფორმის წევრების შესახებ სხვადასხვა საშუალებებით, მათ შორის სოციალური ქსელის facebook მეშვეობით, ისევე როგორც ვებ-გვერდზე განთავსებული ინფორმაციით. სამდივნოს, ვებ-გვერდის, პლატფორმის ამჟამინდელ წევრთა და განსაკუთრებით სამუშაო ჯგუფების შემდგენლობის დაზუსტებასთან, სამუშაო ჯგუფების შინაარსობრივი საქმიანობის პრიორიტეტებთან და საკოორდინაციო საბჭოს გრძელვადიანი სამოქმედო გეგმასთან დაკავშირებული საკითხების უფრო დეტალურად განსახილველად საბჭომ გადაწყვიტა თებერვლის მეორე ნახევარში შეკრება, კონკრეტული თარიღსა და დროზე წინასწარი შეთანხმების საფუძველზე, რაც ასევე წინასწარ ეცნობება ეროვნულ პლატფორმას არსებული ჯგუფური ელექტრონული ფოსტის მეშვეობით. ასევე შეხვედრის მონაწილეები შეთანხმდნენ იმაზე, რომ საკოორდინაციო საბჭოს უფრო გრძელვადიანი სამოქმედო გეგმა დიდწილად არის დამოკიდებულ სამუშაო ჯგუფების შეხვედრებსა და მათ მიერ განხილულ საკითხებზე. ამიტომ აუცილებელია, საკოორდინაციო საბჭოს მეორე შეხვედრამდე ჩატარდეს ყველა სამუშაო ჯგუფის შეხვედრა, რისი ორგანიზებაც ითავებს ჯგუფის თანაკოორდინატორებმა, თუმცა მას შემდეგ, რაც წევრი ორგანიზაციების მიერ მოხდება მონაცემების, მათ შორის სამუშაო ჯგუფებში უფლებამოსილი წარმომადგენლ(ებ)ის დაზუსტება.

საბჭოს სხდომების გამჭვირვალობა

საბჭომ განიხილა სხდომების გამჭვირვალობისა და საბჭოს მუშაობასთან დაკავშირებული ინფორმაციის გახსნილობის საკითხი და ერთხმად შეთანხმდა, რომ ინფორმაციის რეგულარული კომუნიკაციით პლატფორმის წევრებთან, საბჭოს სხდომების ოქმების გავრცელებით, პლატფორმის ვებ-გვერდის მეშვეობით და პლატფორმის წევრი ორგანიზაციების წესდებით დადგენილი უფლებების განხორციელების ხელშეწყობით მაქსიმალურად უზრუნველყოფს საკუთარი საქმიანობის გამჭვირვალობას. აქვე განხილული იქნა ყოფილი საკოორდინაციო საბჭოს წევრის, მაკა ჯახუას წინადადება სხდომების ლაივსტრიმით ტრანსლირების შესახებ, რომელსაც საბჭოს შეხვედრამდე ელექტრონულ საფოსტო ჯგუფში არაერთგვაროვანი რეაქცია მოჰყვა პლატფორმის წევრების მხრიდან, კერძოდ, ცალსახად მხარდაჭერილი იქნა ბატონი ვახტანგ ზარქუას მიერ, მაშინ როცა საკუთარი არგუმენტაციით ამგვარი ინსტრუმენტის გამოყენება მიზანშეწონილად არ იქნა მიჩნეული ყოფილი კოორდინატორების, მურმან მარგველაშვილისა და კახა გოგოლაშვილის მიერ.

საბჭომ აღნიშნული საკითხის განხილვისას მიიჩნია, რომ სხდომების პირდაპირ ეთერში გადაცემა არ არის მიზანშეწონილი, რადგან წესდების შესაბამისად საბჭო თავის საქმიანობას დადგენილი უფლება-მოვალეობებით ისედაც ახორციელებს მაქსიმალურად გამჭვირვალედ: სხდომის ჩატარებამდე ერთი კვირით ადრე დღის წესრიგი გაეგზავნება პლატფორმის ყველა წევრ ორგანიზაციას, სხდომის შემაჯამებელი ოქმი ასევე გაეგზავნება ყველა წევრს, ხოლო, სამდივნოს გამართვის შემდგომ შესაძლებელი იქნება სტენოგრაფიული ოქმების შედგენაც და წევრის მოთხოვნის საფუძველზე მისი მიწოდება. გარდა ამისა, საბჭოს სხდომები ღიაა მასზე დასწრების მსურველი პლატფორმის წევრი ორგანიზაციებისათვის, წინასწარი შეტყობინების საფუძველზე. შესაბამისად, გამჭვირვალობის ისეთი მექანიზმის ამოქმედებას, როგორცაა სხდომების პირდაპირ ეთერში ტრანსლირება, საბჭოს არცერთი წევრი არ თვლის საჭიროდ ამ მიზნების მისაღწევად. გარდა ამისა, საყურადღებოა, რომ საკოორდინაციო საბჭოს ფუნქციას წარმოადგენს ეროვნული პლატფორმის მუშაობის ეფექტურობის ხელშეწყობა ასევე ეფექტური კოორდინაციით. ამ ამოცანას საკოორდინაციო საბჭოს გარკვეული პერიოდით არჩეული და შესაბამისად, ნდობა-გამოცხადებული წევრები კეთილი ნებისა და ენთუზიაზმის საფუძველზე ახორციელებენ. შესაბამისად, საკოორდინაციო საბჭოს შეხვედრები ატარებს სამუშაო/საკოორდინაციო ხასიათს, რაც ნორმალურ სამუშაო გარემოში უნდა ჩატარდეს და რაც მიმართული უნდა იყოს პლატფორმის საქმიანობის ხელშეწყობაზე მისი შედეგებით. საბჭოს მუშაობის შედეგზე რეაგირებისა და/ან სამუშაო დღის წესრიგში წვლილის შეტანის საშუალება აქვს როგორც კონკრეტულ წევრს, ისე სამუშაო ჯგუფებს. საბჭოს მთავარი ამოცანიდან, ფუნქციიდან და სასურველი შედეგიდან გამომდინარე, საბჭოს წევრებმა ვერ დაინახეს ამგვარი ტრანსლირების საჭიროება და მეტიც, არ გამორიცხეს სამუშაო გარემოზე ამ ინსტრუმენტის უარყოფითი ზეგავლენის შესაძლებლობა, რაზეც სამუშაო ჯგუფების ყოფილმა კოორდინატორებმა მიანიშნეს.

რაც შეეხება რეკომენდაციებს **ევროპულ და სხვა ფონდებთან თანამშრომლობაზე**, წესდებით მკაფიოდ არის განსაზღვრული საკოორდინაციო საბჭოს შეზღუდული კომპეტენცია. საკოორდინაციო საბჭო აპირებს მოიძიოს და მიაწოდოს პლატფორმის წევრებს ინფორმაცია შესაბამისი საგრანტო კონკურსების შესახებ. ასევე, საბჭო ეცდება მოიზიდოს დამატებითი რესურსები პლატფორმისათვის, სამუშაო ჯგუფებისათვის, და როგორც ზემოთ აღინიშნა, მათ შორის სამდივნოს ჩამოყალიბებისათვის, თუმცა ამ შემთხვევაშიც, მას ცალსახად არ და ვერ ექნება გადაწყვეტილებების მიღების ფუნქცია. ცხადია, ევროკავშირის, ან სხვა ფონდების მიერ მიმდინარე ან მომავალში დაგეგმილ პროგრამების ფარგლებში საგრანტო რესურსების განაწილების გადაწყვეტილებას მიიღებენ დონორები, დადგენილი პროცედურებით. ამის მაგალითია, ევროკავშირის მიერ 2011 წლის შემოდგომაზე გამოცხადებული Civil Society Facility-ის ფარგლებში საპროექტო განაცხადების მიღება (2012 წლის 1 თებერვლამდე), რაც ღია იყო აღმოსავლეთ პარტნიორობის ეროვნული პლატფორმის ყველა წევრისათვის.

კომუნიკაციის საშუალებები

კომუნიკაციის საშუალებებზე მსჯელობის დროს საბჭოს წევრები შეთანხმდნენ შემდეგზე:

- კომუნიკაციის მთავარ საშუალებად კვლავ რჩება Google ჯგუფი (ორგანიზაციების საინფორმაციო მონაცემების განახლების შემდეგ, შედგება ელ - ფოსტების ახალი სია და შესაბამისად განახლდება Google ჯგუფიც);
- შედგება ახალი ჯგუფური ელ-ფოსტა სამუშაო ჯგუფების მიხედვითაც, (შესაბამისად მონაცემების განახლების შემდგომ);
- ახალი პროექტის ფარგლებში შესაძლებელია გაკეთდეს პლატფორმის Facebook გვერდი;

განსაკუთრებით გაესვა ხაზი ორენოვანი ვებ-გვერდის მნიშვნელობას და დატვირთვას ამ თვალსაზრისით. საერთო განხილვის შემდეგ, ვებ-გვერდთან დაკავშირებით დაისვინა რამდენიმე კითხვა: 1. ვინ აგრძელებს ვებ-გვერდის ადმინისტრირებას და რა ვადით? 2. ტექნიკურად რა შესაძლებლობები აქვს პლატფორმის ვებ-გვერდს? 3. რამდენად შესაძლებელია ინტერაქტიული ფუნქციებით მისი დატვირთვა?

საკოორდინაციო საბჭოს წევრები შეთანხმდნენ, რომ ვებ-გვერდზე დაუყოვნებლივ უნდა განთავსდეს:

- ინფორმაცია საკოორდინაციო საბჭოს შეხვედრის შესახებ;
- ახალი წესდება და ეთიკის კოდექსი;
- პლატფორმის წევრთა განახლებული სიები და მოკლე ინფორმაცია თითოეული წევრის შესახებ;
- პლატფორმის სახელით წარსულში გაკეთებული განცხადებები.

გარდა ამისა, ვებ-გვერდზე უნდა განთავსდეს ინფორმაცია პლატფორმაში გაწევრიანებისათვის საჭირო კრიტერიუმებისა და პროცედურების შესახებ და ჩამოყალიბდეს ინტერაქციის საშუალებები, მაგ.: ფორუმი ან კომენტარების შესაძლებლობა, რეგისტრირებული წევრებისთვის სისტემაში შესვლისა და ხმის მიცემის შესაძლებლობა და სხვა.

სამუშაო ჯგუფების სამოქმედო გეგმა

საბჭოს წევრებმა შემდეგ საკითხად განიხილეს სამუშაო ჯგუფების სამოქმედო გეგმა და შეთანხმდნენ, რომ სამუშაო გეგმის განხილვის მიზნით ჯგუფების შეხვედრები უნდა ჩატარდეს თებერვალში, უახლოესი შესაძლებლობისას. ამისათვის აუცილებელია, წევრობის ინფორმაციის განახლებისათვის შედგენილი ფორმა ორგანიზაციებმა შეავსონ შეძლებისდაგვარად სწრაფად, დაახლოებით ერთი კვირის განმავლობაში. წინააღმდეგ შემთხვევაში, თუ წინასწარ არ აცნობებენ საბჭოს შეფერხების შესახებ, ისინი ავტომატურად ამოიშლებიან Google საფოსტო ჯგუფიდან. წევრებმა იმსჯელეს ასევე სამუშაო ჯგუფების შეხვედრების ადგილზე და შეთანხმდნენ, რომ რადგანაც წინა პროექტის ფარგლებში გათვალისწინებული იყო სიმბოლური თანხა ამ შეხვედრების ევროპის სახლში შეღავათიანი პირობებით ჩატარებისათვის, ეს პრაქტიკა შეძლებისდაგვარად გაგრძელდეს. გარდა ამისა, ჯგუფების კოორდინატორებმა გამოთქვეს მზადყოფნა საჭიროების შემთხვევაში შეხვედრები ჩაატარონ თავიანთ ორგანიზაციებშიც. გადაწყდა, რომ სამუშაო ჯგუფებმა

ინდივიდუალურად უნდა განსაზღვრონ თავიანი სამუშაო გეგმა, საქმიანობის ძირითადი მიმართულებები და განიხილონ ფინანსური სახსრების მოზიდვის საკითხებიც. შესაბამისად, ეს ინფორმაცია საკოორდინაციო საბჭოს შეხვედრისას განიხილება ერთიან შემადგენლობაში.

საკოორდინაციო საბჭოს შეხვედრაზე განიხილეს **კოორდინაციის, უკუგებისა და პიარის საკითხი**. წევრები ერთხმად შეთანხმდნენ იმაზე, რომ ამ ეტაპისათვის მთავრობასთან სტრუქტურული დიალოგის საკითხი დღის წესრიგის უმნიშვნელოვანესი თემაა. აუცილებელია კონტაქტების დამყარება და თანამშრომლობის გაღრმავება იმ პირობებში, რომლებიც სხვადასხვა სამინისტროებში პასუხისმგებელნი არიან აღმოსავლეთ პარტნიორობის ფარგლებში გათვალისწინებულ საკითხებზე, განსაკუთრებით შესაბამისი სამუშაო ჯგუფებისათვის.

საბჭოს წევრები შეთანხმდნენ, რომ აუცილებელია ეფექტურად იქნეს გამოყენებული და რეგულარულად მოხდეს ინტერაქცია საბჭოს მიერ რამდენიმე საკვანძო სტრუქტურასთან, კერძოდ ევროპული და ევროატლანტიკური ინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატთან, საქართველოს პარლამენტის ევროინტეგრაციის კომიტეტთან და საგარეო საქმეთა სამინისტროს შესაბამის უწყებასთან (მოადგილე და დეპარტამენტი). იმისთვის, რომ პლატფორმას ჰქონდეს ევროკავშირთან თანამშრომლობის პროცესებში შინაარსობრივი მონაწილეობისა და მონიტორინგის მექანიზმები, საბჭომ სასურველად მიიჩნია სამ თვეში ერთხელ ჩაინიშნოს შეხვედრა სახელმწიფო მინისტრის აპარატთან ინფორმაციის მისაღებად და გასაცვლელად, კერძოდ იმის დასადგენად, თუ რა იგეგმება და რა გაკეთდა აღმოსავლეთ პარტნიორობის ფარგლებში მოცემულ სამთვიან პერიოდში. აღნიშნული შეხვედრები ჯგუფებს საშუალებას მისცემს სამუშაო შეხვედრების დროს იმსჯელონ და განიხილონ ქვეყნის წინაშე არსებულ გამოწვევები, მიიღონ რეკომენდაციები, დაგეგმონ ადვოკატირების კამპანია, ა.შ. და ასევე განახორციელონ მიღწეული შედეგების ეფექტური მონიტორინგი.

საბჭომ საჭიროდ მიიჩნია ამავე საკითხებზე საქართველოში ევროკავშირის წარმომადგენლობასთან ურთიერთობების ინტენსიფიკაცია და უახლოეს მომავალში დელეგაციის ხელმძღვანელთან, ფილიპ დიმიტროვთან შეხვედრა. ამ შეხვედრის შემდეგ შესაძლებელი იქნება ევროკავშირის წარმომადგენლობიდან შემხვედრი ინფორმაციის მიღება საქართველო-ევროკავშირის ურთიერთობის მიმდინარე პროცესების შესახებ და პლატფორმის უკეთ ინფორმირება.

საკოორდინაციო საბჭოს შეხვედრაზე გადაწყდა, რომ საბჭოს ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს გამოწვევად რჩება პიარის საკითხი. მნიშვნელოვანია, გამოყენებულ იქნეს როგორც ბეჭდური მედია, ასევე ტელევიზია (მაგ. გადაცემა ევროპული არჩევანი) და რადიო ევროპასთან ინტეგრაციის თემების პოპულარიზაციისა და კონკრეტულ საკითხებზე ფართო მსჯელობისათვის. საბჭომ ასევე განიხილა ინფორმაციის გავრცელების შესაძლებლობა საინფორმაციო ქსელების მეშვეობით.

თითოეული ზემოთმოხსენებული საკითხვის განხილვისას საბჭო ახორციელებდა **წინა წლის შეცდომების ანალიზს** და მსჯელობდა ამ შეცდომების თავიდან აცილების გზებზე.

საბჭოს წევრებმა შეხვედრის ბოლოს განიხილეს პლატფორმის სახელით ინფორმაციის გავრცელებისა და ლოგოს გამოყენების საკითხი. პლატფორმის გადაწყვეტილებების შემთხვევაში კორპორატიული სახელისა და სიმბოლიკის გამოყენების შესაძლებლობა უკვე განსაზღვრულია ახალი წესდებით, კერძოდ სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტის თანხმობისას. გარდა ამისა, გაუგებრობის თავიდან აცილებისა და პროცედურების სიზუსტის დაცვის მიზნით, საკოორდინაციო საბჭო კორპორატიული სიმბოლიკის დაცვით შეიმუშავებს ლოგოს საკოორდინაციო საბჭოსათვის (იმავე ლოგოს ქვეშ ექნება მინაწერი "საკოორდინაციო საბჭო"), რაც განთავსდება მის მიერ გავრცელებულ დოკუმენტებზე (მაგ. დღის წესრიგზე, ოქმზე, შეხვედრების ორგანიზებისას მიმართვის წერილებზე, ა.შ.).

საბჭოს სხდომის დასრულებამდე წევრები შეჯერდნენ მომდევნო შეხვედრის დროს განსახილველ საკითხებზე:

1. საკოორდინაციო საბჭოს სამდივნო;
2. ეროვნული პლატფორმის ვებ-გვერდი;
3. საქართველოს ხელისუფლებასთან და ევროკავშირის წარმომადგენლობასთან შეხვედრა;
4. შიდა და გარე კომუნიკაცია, პიარ სტრატეგია;
5. სამუშაო ჯგუფების სამოქმედო გეგმების განხილვა.
6. პლატფორმაში გაწევრიანების პროცედურების/მოთხოვნების ჩამოყალიბება (წესდების შესაბამისად)

დაახლოებით სამსაათიანი მსჯელობის შემდგომ, საკოორდინაციო საბჭოს შეხვედრა დასრულდა.

საჭოს თავმჯდომარე: ქეთევან ციხელაშვილი

სხდომის მდივანი: სალომე ბულია